საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 9 22 0001572979

08/12/2022

მოქალაქე თათია ნაზარაშვილს
ელ ფოსტა: foi+request-1184-ef2a9450@askgov.ge

ქალბატონო თათია,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილ თქვენს განცხადებასთან (სამინისტროში რეგისტრაციის N1494253; 24.11.2022) დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, მე-40 მუხლების გათვალისწინებით გაცნობებთ, რომ ცალკე ბულინგის შემთხვევების სტატისტიკის დამუშავება ხორციელდება 2017 წლიდან. შესაბამისად, 2017 წელს დაფიქსირებულია 189 და 2021 წელს - 17 შემთხვევა. ბულინგის და ზოგადად ნებისმიერ სახის ძალადობის პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ განხორციელებული რეფორმის ფარგლებში მაქსიმალურად გაძლიერდა როგორც უსაფრთხოების კომპონენტი, ასევე, ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრი, რომელიც ფსიქოსოციალურ მომსახურებას (პრევენცია (პროფილაქტიკა), შეფასება, ფსიქოთერაპია, ფსიქოკონსულტაცია, სოციალიზაციაში ხელშეწყობა) სთავაზობს საგანმანათლებლო დაწესებულების ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე მოსწავლეებს. ამ ორი უმნიშვნელოვანესი მექანიზმით, მანდატურის სამსახური წარმოადგენს პრევენციისა და რეაგირების საუკეთესო საშუალებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვთა მიმართ განხორციელებული ბულინგის თითოეული ფაქტის აღრიცხვას, შესწავლასა და შესაბამისი რეაგირების განხორციელებას.
სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის მიერ ტარდება არაერთი სასკოლო და საკლასო ინტერვენცია, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელთა, პედაგოგთა და მოსწავლეებთან დაკავშირებულ სუბიექტთა კონსულტირება ბულინგის, ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი ნიშნით, პრევენციის მიმართულებით. სკოლებში სასკოლო ინტერვენციის ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობს საინფორმაციო, საგანმანათლებლო შეხვედრები ბულინგის რისკებისა და მისი პრევენციის მიზნით. შეხვედრების მიზანია, როგორც ცნობიერების ამაღლება და ზოგადი ინფორმაციის მიწოდება, ასევე მასზე დროული

რეაგირება და ადრეულ ეტაპზე რისკების გამოვლენის ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ცენტრის მიერ ინტენსიურად ეწყობა მოსწავლეებისთვის და მათი მშობლებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო შეხვედრები ბულინგის შესახებ. დისკრიმინაციის წინააღმდეგ ეწყობა ფილმების/ვიდეორგოლების ჩვენებები, დისკუსიები, პრეზენტაციები, თემატური კვირეულები. ასევე აღსანიშნავია, რომ ცენტრის წარმომადგენლები, მომართვის შემთხვევაში, მოსწავლესთან/მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობის გარდა, საჭიროებისამებრ ახორციელებენ სასკოლო ინტერვენციას, მათ შორის სკოლის წარმომდგენლებისა და მშობლების კონსულტირებასა და საკლასო ჩარევებს.

ამასთან აღსანიშნავია, რომ სამინისტროსთვის მნიშვნელოვანია ბულინგის თითოეული ფაქტის შესწავლა და ასეთ შემთხვევებზე რეაგირების მექანიზმები დარეგულირებულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესით. სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას წარმოადგენს მოსწავლის მიმართ ჩადენილი ბულინგი და ნებისმიერი სახის ძალადობა. ნებისმიერი პირი ვალდებულია მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ბულინგის ან/და ნებისმიერი სახის ძალადობის ჩადენის ფაქტის ცოდნის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მანდატურს/უფლებამოსილ პირს/სკოლის ადმინისტრაციას. ბულინგის შემთხვევაში ბულინგში მონაწილე ყველა მხარის (ბულინგის გამტარებლის და ბულინგის მსხვერპლის) რეფერირება ხორციელდება ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვთა მიმართ განხორციელებული ბულინგის თითოეული ფაქტის აღრიცხვას, შესწავლასა და შესაბამისი რეაგირების განხორციელებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მერ შესაბამისი საინფორმაციო და პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შედეგად ბულინგის შეემთხვევების რაოდენობა მკვეთრად შემცირებულია.

აქვე განგიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) საქმისწარმოების
სამმართველოს უფროსის ფუნქციათა
შემსრულებელი
ნათია ლომთაძე